საქართველოს მთავრობის

დადგენილება №493

2019 წლის 18 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის №77 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის №77 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/02/2018, 010240010.10.003.020392) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში:

1. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. მთავრობის წევრის სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნისას მის მიერ „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამით განსახორციელებელ უფლებამოსილებებზე ვრცელდება ამ რეგლამენტის მე-11 მუხლის 1^1 პუნქტით დადგენილი წესი.“.

2. მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. მთავრობის წევრის ქვეყნის ფარგლებს შიგნით/გარეთ სამსახურებრივი მივლინების ფაქტი არ ზღუდავს მას პროექტის შეთანხმების პროცედურაში მონაწილეობის მიღებისაგან.“.

3. 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. მთავრობის წევრის ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივნის ქვეყნის ფარგლებს შიგნით/გარეთ სამსახურებრივი მივლინების ფაქტი არ ზღუდავს მას ამ მუხლით, 34-ე მუხლითა და 38-ე მუხლით გათვალისწინებული კანონპროექტის შეთანხმების პროცედურაში მონაწილეობის მიღებისაგან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**